

კლამატი

კლამატი... მუხრანის ხანა...

ბელის-მოწერა

ბელის-მოწერა... ვაჭარების...

„დროების“ უსანი:

„დროების“ უსანი: 9 მან. ... 3 მან.

დროება

ბაგოლის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა

უსანი განცხადებისა

უსანი განცხადებისა... დიდი ხანა...

ცალკე ნომერი „დროებისა“ დას. ვრთიშაური.

ტელეგრაფი

ტელეგრაფი... 18 მარტს. „მხარე-თებლობის მთავრობა“...

„ბოლოსში“ დაბეჭდილია: რუსის მწერალს...

„ხანოვო ვრეძაში“ სწერენ, რომ ახალი ზრდა...

კრიკაშია ხელ-ახლად გრაფდუბან აჯანყებულები.

Table with 2 columns: Name, Amount. Includes entries like 'პატარაშვილის ბირჟა'.

„დროების“ ფელტონი, 20 მარტი.

მს რა კაცია? სულ სხვის, სწუნიანს და იმდურება...

Table with 2 columns: Name, Amount. Includes entries like 'ალმოსაველეთის მეორე'.

ჩვენნი საჭიროებანი

ათასჯერ თქმულა, და ეს უთქმელადაც ყველასთვის ცხადია...

ამიტომაც ახლა, როდესაც გარეგანი მშვიდობიანობა...

მერც ერთ საზოგადო მნიშვნელობიან საქმის რიგიანად...

ბილგან კი განმთავისუფლებთ და დიდ მადლობას გიძღვნით!

მს ერთი მხარე ჩვენი საადგილ-მამულო საქმისა.

აგერ ოცი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ბატონ-ყმობა...

მაგრამ რა გამოვიდა! სამესამედო-თაც არ გაუთავებიათ...

საუბედუროთ, თვით კანონის მას-რითაც ჩნდება...


შეხვეწილად, თავშიდაც ჩაგრა,

ან თუ მიაგო ნაქმნარი შური, ისე ხელთ-იგდო ის უბედური...

ერთის სიტყვით ვსთქვათ დასათაური: ასარებს მსაღად „დანაშაური“.

ნ. დ. მოგზაშრობა მართლში (დასასრული*) ჩვენი მატანებიდან სჩანს...

*) ის. „დროება“ № 58.



ათასი ხარჯი, სანამ, როგორც იქნება გლეხი ეღირსება მემატიონისაგან მამულის შესყიდვას.

მს მეორე დამბრკოლებელი მიზეზი ჩვენი საადგილ-მამულო საქმის წარმატებისა მართი კადევი.

ამისთანა ქვეყანაში, რომლის არსებობა მეურნეობასა და მიწის წარმოებაზედ არის დამოკიდებული, ამისთანა ქვეყანაში, ვაშობთ, ამ ქამად არცერთი, არათუ უმაღლესი, პირველ-დაწყებითი სასწავლებელიც კი არ მოიპოვება. და ჩვენ დღეს სწორედ იმავე იარაღებით, იმავე გუთნით, იმავე თოხითა და ბარით ვმუშაობთ ჩვენს ყანებში და ვენახებში, როგორც ამ ათასის წლის წინად ჩვენი წინაპრნი მუშაობდნენ.

როდესაც მამულის-მემატიონე ამისთანა მდგომარეობაშია, როდესაც ადგილ-მამულის საქმე ასე გამოუკვლეველი და განუსაზღვრელია, რა სიკეთეს და რა წარმატებას უნდა მოგვლოდეთ იქ საადგილ-მამულო საქმეებში და მეურნეობის მიმდევართ, ე. ი. მთელს საქართველოს, იქ რა ბედი, რა ნივთიერი კეთილ-დღეობა უნდა მოელოდეს?!

დასკვნა ამ პატარა შენიშვნისა ცხელია:

ჩვენი მეურნეობის წარმატებისათვის, საადგილ-მამულო საქმის კეთილ გზაზე დასაყენებლად და საზოგადოთ მატერიალურ მდგომარეობის განკეთილებისათვის აუცილებელია საქირაო:

- ა) გამაჯვნის დაჩქარება საქართველოში;
- ბ) ბლენებისაგან მამულების გამოსყიდვის საქმის დაჩქარება და ამ გვარ საქმეთა წარმოების გაადვილება და
- გ) უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისა და რამდენიმე პირველ-დაწყებით სამეურნეო სკოლის გამართვა ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა ადგილებში.

ამას გარდა, რასაკვირველია, ბევრი ბევრი სხვა საქირაობა გვაქვს, ბევრი სხვა რამ აბრკოლებს ჩვენ ნივთიერ

ლუკმას. ამიტომ ყველა უწინდელ ისტორიულ ხალხებმა სცადეს თავის ძალ-ღონე საქართველოს დაპყრობადამორჩილებაში.

1500 წ. ძრისტეს წინეთ ქართველთ შემოგვიდნენ მისირელები და დროებით დაიმორჩილეს. ისტორიის ბნელს ხანებში საქართველოს ეწვია ბერძენების გმირი იაზონი ოქროს მატყლოსანის ყაზის მოსატაცებლად. მრავალჯერ ჰსწევია საქართველოს არაბები, რომაელები, ბერძენები, სპარსლები, მონგოლები, სკითები, ლეკები და სხვა მრავალი მთიული და ველური ხალხები. ამას დაუმატოთ ისიც, რომ დიდი გადასახლება აზიის ხალხთა მეროპაში მომხდარა ძველკასიის ყელიდგან, ჩვენი მამულიდგან. ამდენი ხალხი, მტერიც და ჩვენი მოყვარენიც მრავალ გზობას ზურგ-

და გონებით წარმატებას,—და ყველა ამაებზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

დღიური

მრთს ფრანკულულ გზეთში იწერებინ, რუსეთის მთავრობას განხრახნა აქვსო, რომ ათასი მილიონი (ერთი მილიარდი) ფრანკი ისესხოს პარიჟის ბანკირებისაგანო.

გაზეთს „პეკუს“ მოჰყავს სტამბოლიდამ მიღებული კერძო წერილით ამბავი, რომ იმ მანერებზე, რომელიც ბერძანის ელჩის პატივ-საცემელად იყო ამას წინათ სტამბოლში გამართული, სხვათა შორის გუბერატორის ჯარიც დაესწროო. მს ბურჯისტანის (ქართველების) ჯარი შესდგება იმ აჭარლებისა და ლაზებისაგანო რომელნიც, რუსებისაგან ბითუმის მაზრის დაჭერის შემდეგ, ამ მაზრიდამ მსმალეთში გადასახლდნენო. მსმალოს მთავრობას ექვსის წლით დაუქირავებია და ქვევითა და ცხენოსანი დრუჟანა შეუდგენია ამათგანო.

ამ თვის 6-ს პეტერბურღის არხეოლოგიურ ინსტიტუტში, სხვათა შორის ბარონ შინცბურგს წაუკითხავს თავის არხეოლოგიური შენიშვნები ძველკასიის ზოგიერთ ნაშთთა შესახებ. ბარონ შინცბურგს დაუვლია ალაზნისა და რიონის ხეობა და ამბობს, რომ ამ მხარეებში ბევრი და ძლიერ შესანიშნავი არხეოლოგიური ნაშთები არის საქართველოს ძველ დროებისაო, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ქამად კაცი ყურადღებას არ აქცევსო, ძველ სახლებსა, კედლებსა და მონასტრებს ანგრევენ, ქვებს აცლიან და ახალ შენობებს აგებენო. ბარონ შინცბურგი აცხადებს სურვილს, რომ ამ ძველ სახსოვრების, ნანგრევების ნაშთს ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, რომ ისტორიისათვის დაიცვან.

ჩვენ გვთხოვენ გამოაცხადოთ, რომ ბ. მ. ალექსევე-მესხივის კონცერტი, რომელიც დღეს, შაბათს,

ზედ ატარა ჩვენმა მამულმა და, რასაკვირველია, თუ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ტანჯულ დედა-მიწისა გვხვდება დიდებული ნანგრევები შენობათა, თხრილთა, გამოქვაბულთა და სხვა საკვირველებათა.

ამდენი მილიონი ხალხების შემოსევა და მერე აქედან გასვლა დიდად აზიანებდა ჩვენ წინაპართა ხელოვნურს ნაწარმოებს. შემოსეული მტერი თავის წადილს რომ ვერ მიღწევდა, ხშირად რაც მოხვდებოდა გზაში, ამხობდა და ასე ვადიოდა საქართველოდგან. მაგრამ ჰხდებოდა ასეც, რომ რომელიმე მტერი როდესაც გამარჯვებდა ქართველებზე და დიდი ხნობით დაიჭრდა ჩვენს ქვეყანას, მაშინ თავისაგანვე განადგურებულს სიმაგრეებს ხელ ახლა ამარგებდა და აგრეთვე ამენებდა ახალ სიმაგრე-

უნდა ყოფილიყო, გადაიდვა კვირისთვის 21 მარტისათვის.

უკანასკნელს ტირაქში ორასი ათასი მანეთის მოგება შინაგან სესხისა რგებია შიტებსკის რკინის გზაზე მოსასახურე პირს—ბოლშაკოვს, რომელსაც თვეში ხუთი თუქანი ჯამაგირი ჰქონდაო.

ამ დღეებში ორი ახალი ქართული წიგნი გამოვიდა: ქადაგების მღვდლის ბურგენიძისა და ახატელოვისაგან დაწერილი სასიძღვრო ლექსები.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ თ. რაფ. შრისთვის ნაწერების გამომცემლობ. არ. ძალანდაძე და ალ. ღრევიჩს განუძრახავთ ბატონიშვილ მახუშტის გეოგრაფიის დაზეჟვდა რომლის რედაქტორობა უკისრნია ბ. დიმიტრი ბაქრაძეს.

„სასულიერო საგნების შესახებ საუბრებზე“, რომელსაც მფ. სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი მისაილი მართავს ტვირაობით, ძალიან ბევრი ხალხი დადის და სხვათა შორის პროტესტანტებისა და ბაპტიტების პასტორებიცა, რომლებიც წინააღმდეგ რექტორის ქადაგებისა, კითხვებს აძლევენ ხოლმე ბაასობენ. ვასულს კვირას თვითონ მალა-ყოვლად-უსამღვდელო იოანეც დაესწრო მიიღო ბაასში მონაწილეობა.

პროვინცია და მისი გმირები.

მოხსენებზედ არის ნათქვამი, რომ დასველებული ქონის სანთელი გახურებულ თორნეში უნდოდთ გაფშოროთ, მაგრამ ესევე შეიძლება ესთქვათ საერთოდ პროვინციაზედ. იქნება მოხსენებებს კიდევ ეწეონო, რომ მათგან მოგონილ საქმეს საერთოდ ვხდით, მაგრამ რა ვუყოთ, როდესაც კარგი, კეთილი, გონიერული და სასარგებლო საქმე პროვინციის ცხოვრებაში ძნელია შევნიშნოთ და დავინახოთ.

პროვინციის ცხოვრება იმისთანა სიბნელის გზაზედ მიმდინარეობს და

გებს და მათში ჩაყენებდა ხოლმე ჯარს თავის უფლების და ბატონობის დასაცველად. ამისთანა სიმაგრეთაგან ჩვენ ვიცით რამდენიმე: მთილისში—სოლოლაკის გორაზე მყოფი ციხე—შურის ციხე სპარსელებისგან ამენებულია; სიღნაღის მაზრაში—შარაღჯის ციხე; შორის ციხე, ამენებული იმპერატორის ირაკლისაგან; პომპეის ხიდი და მრავალი სხვა შენობა სიმაგრენი გორების წვერებზე.

შველა ხალხებს, რომელთაც კი უნდოდთ საქართველოს დამონაება, სცილიობდნენ პირველათ დემზოთ იმის სარწმუნოება, და ეს სარწმუნოება შეეცვალათ თავის სარწმუნოებით. ამიტომ ყველა ომები, რომელნიც ჰხდებოდნენ საქართველოს ნიადაგზე,

სდგას, რომ კაცს შეიძრწუნებს, ზარამს, შეაწუხებს და ამისთვის მართლად უთქვამს ჩაქსტანს ჩინეთში კრიტიკოსს ბელინსკის, რომ პროვინცია—საშინელი სიტყვააო.

მართალია, ზოგიერთნი მწერალთუქცა უარს არა ჰყოფენ პროვინციის სიბნელეში ცხოვრებასა, მაგრამ აქებენ მათსა სტუმართ მოყვარობას და პურადობასა. ამაშიაც დიდი შემცდარნი არიან, რადგანაც ამ სებას აქვს ნიადაგი მუქთა-მქამლოსიზარმაცე და უსაქმოება, რომელიც შიაც პროვინცია ვახვეულია, როგორც მცხედარი სუღარაში და რომელიც სტუმრის დახვედრაში და სმა-ქამა ატარებს ძვირფასს დროსა, ამით იტყვას და ყვირის: ჩემი სტუმარი გავადლო, ისე ვავებერო, როგორც ძარაპეტას ტიკტორაო.


პროვინციაში ძნელია კეთილი სასარგებლო საერთო საქმის დაწყება, უკეთუ საქმე მოითხოვს ტერიტორიულ შემწეობასა, გონებრივან ვითარებასა. როდესაც დაიწვევინებ ამ გვარ საქმეზედ ლაპარაკს პროვინციის სტუმართ-მოყვარენი პურადნი მოჰყვებიან საშინელის ხეყვირილსა, გლახკად გადაიქცევიან გაჰკვიან: საიდამ რა უნდა მიესცეთ თავით-ფეხამდისინ ვალში ესხვდეთო! და ნაცვლად შემწეობისა, დასრებისა პროვინცია ჰსცილიობს ვისებურად მოგვერდი უგდოს, უთუ დასცეს და მით მოიშოროს, აიქნოს თავიდამ კეთილი საქმე, როგორც მანებელი, სასიკვდილო სწლობა-ჭირი.

დამტკიცება ამისი ადვილია. ბრძნეთ—სად არის სასოფლო წაველებლები? სადაც არის, ვი არსობასა. არც სახლი—სახლსა ჰგარც მოწყობილება—მოწყობილება და არც ეძლევა მასწავლებელს თუ დროზედ ჯამაგირი და ზის გულს დაკრეფილი მშვიერი და მწყურთუქცა ახლოს მისსა მეზობლად მარს აძლობენ და ჰბერევენ.

პროვინციაში არა ერთხელ გვინია: მე შეილი არა მყავსო და წაველებელი ჩემთვის საქირაო არ

პირველათ იყო ომი სარწმუნოებაში.

მისირელებმა ქართველებს ასწავლათ თავიანთ-ციხე მზისა, მთვარის ვარსკვლავებისა. ბერძენებმა დაუბკერა: ღაანა, აფროდიტა, აპოლონი და სხ., სპარსელებმა გაუვლეს ცეცხლ-თაყვანის მცემლობა დაასახლეს საქართველოში მოგმძრისტიანობას შემოღების შემდებრძენების იმპერატორები სცილიონენ მოექციათ ამ რჯულზედ მთვლენიც, რომ რჯულის შემწეობად დემორჩილათ ქართველთა იყო მიზეზი, რომ იმპერატორსტანტინე დიდს ძალიან გაუბრალოცა გაიგო მახინის განათების ბაეი. ბოლოს მაჰმადის სიკვდილმემდეგ ოსმალები, არაბები და ზილბაშები საქართველოს დამონ



სო! ეს ისეთი მალაღობრივი და საფუძვლიანი აზრია, რომ მართლა პირში ბურთს ვეგდებს და მხოლოდ ელულულულებით: — ჰო! უმეცრების ჯურღმულა!

ზარდა ამ უმეცრებისა და გაუნათლებლობისა, რომელნიც გულზედ აწევს პროვინციას, როგორც მახრჩობელა, ჰყავს თავისი, როგორც ფარა ცხვარსა, თხები—წინამძღვრები. მსენი არიან ორ გვარნი: „კონსერვატორები“ და „ლიბერალები“. ამათ შორის დიდი განსხვავება არა არის—რა, ორივენი ილტვიან თავიანთ თავის სიამოვნებისადმი და სარგებლობისადმი, მხოლოდ სხვა-და-სხვა გზით და ღონისძიებით. ორივენი ხაზში ხმარობენ ძალასა, მსკლიობენ კაცის მოტყუებასა, სხვის ქონების მითვისებასა, ფულის შეძინებასა, ქრთამობასა და სხვათა ამისთანა მოქმედობათა. მსენი ამ საქმეებში ძმები არიან, თუმცა ერთის ფერი—მეორეს ფერს არ მიუღებენ ამიტომ, რომ ცხოვრება მათი საზოგადოებაში სრულებით განსხვავებულია: „კონსერვატორი“ უფროთხილდება თავის ქონებასა, უყვარს და ინახავს ფულსა, ყველას შესჩივის თავის სიღარიბესა, სიონის გლახასავით ყელს უშვერს ყველასა და ჯიბისაკენ მიაქვს ხელი. მაგრამ „ლიბერალი“ ამას არა კისრულობს, ფული ამისათვის უბრალო ბზეა, სიღარიბეზედ ეჯავრება ლაპარაკი და ცდილობს თავისი თავი ახერხოს მდიდრულად. ამისთვის ფულს ვალად კი არ აიღებს და ისე ხელად კი იკადრებს, რომ დაბრუნება საჭირო აღარ იყოს...

„კონსერვატორი“ პროვინციაში არის ძველებური კაცი; ამას ახალი არა მოსწონს—რა, ყოველს ფეხის გადადგამში და დამთქარებაში პირჯვარს იწერს, რომ ამით მოიგეროს მატური ხელი, კითხულობს ძველ წიგნებსა და ხშირად საღმრთო წერილსა, რომელზედაც უყვარს კიდევ ლაპარაკი; დადის ეკლესიაში, სადაც ლოცულობს დიდის მხურვალეობით და გულში ცემითა. ამის ქრისტიანობა, პატიოსნება, სინილისი ისეთს ფარისევლობის ფარდას ქვეშ არას

და-დამშვიდებსა ჰხედავდნენ ძრისტის სარწმუნოების მაჰმადისაზე გაცვლაში. როგორც ყოველი მონადირე სცდილობს თავის მსხვერპლს მოარტყას შიგ გულში და დასცეს იგი, ისე ყველა საქართველოს მტრები სცდილობდნენ დაეჭრათ იგი გულში. და ვინ არ იცის, რომ საქართველოს სისხლი მსჩქებდა მცხეთაში და მის მიდამოს! ძველადანვე მცხეთა იყო შუა-გული საქართველოსა და იგი სულიერად ჰკვებავდა მთელს სხეულს წმინდა სისხლით!

ჩვენ ვიცით, რომ წარმართობის დროსაც და ქრისტიანობის დროსაც მცხეთა (და მის მიდამონი) იყო საყდარი ჩვენის რწმენისა, უდიდესი ჩვენი თაყვანის-საცემი ადგილი; ეს იყო აგრეთვე ის აკვანი, რომელშიაც პირ-

ვანვეული და დამალული, რომ კაცი ვერ გაუგებს. ასე გაშინჯეთ, კიას ფეხს არიდებს, რომ არ გავსკულითა და ამისთვის ჩაწერილია წვერად „პირუტყვით მფარველ საზოგადოებაშიც“, თუმცა საზოგადოებისა არა ესმის—რა და არც იცის ნამდვილი მისი მნიშვნელობა. მართის სიტყვით, ეს კაცი ამ ქვევით ქვეყანას ატყუებს, სჭამს და ცრცენის, სასარგებლოდ თავის უძირავეი ჯიბისა, როგორც ის ღიამბევი, რომელზედაც პოეტისგან ნათქვამია:

„ეს ოხერი, ჩემი ჯიბე,
„მტენი ვტენი ვერ გავტენი“.

პროვინციის „ლიბერალი“ სულ სხვაა, ამას ძველებური არა მოსწონს—რა, უსწავლია საყველბურად აზბუკიველი ლაღლო, იცის მწერლების სახელები, ვითომ-უყვარს მშობელი მამული და ვითომ-პატრიოტობს, ამიტომ ყბედობს ქვეყნებზედ, თუმცა ნამდვილად არა იცის—რა; ცდილობს ენამჭევრობასა და სხარტულად წამოისცროს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებსა; საშინლად შფოთავს, ყვირის, წივის და ხანდისხან, თითქმის, ტირის, როდესაც გაიგებს ბოროტ რამ მოქმედობასა და ცდილობს ვითომც მის ფესვიანად ამოგდებასა. ამ პროვინციის ლიბერალს უყვარს მუქთი სმა და ჭამა, საღამოს დიდ ხანს კლუბში ქალაღლის თამაშობა, ხანდისხან ქალების კავალრობა და კადრელი.

რადგანაც ამისთანა ცუნცულა-ბუმბულაძეები პროვინციაში ბევრნი არიან, ამისთვის „ლიბერალს“ ყველა თავს უკრავს, ყველა მზათ არის აღასრულოს ამისი ნება, სურვილი და განძრახვა. ამით ლიბერალს, რასაკვირველია, თავი მოსწონს, თამაშობს, ცელქობს და ხშირად დამღერს:

„მე იგი მიყვარს ლხინი,
„სად თავისუფლება მეფობდეს.“

ჩვენს „ლიბერალს“ ეს თავისუფლება თავისებურად ესმის და, რასაკვირველია, ისე ხმარობს.

ეს არის მკითხველო სურათი პროვინციის გმირებისა. შევიძლით თუ ვერა პროვინციის და მისი გმირების

ველი ქართველთ დედა არწებდა ჩვენს მამათ მთავარს; ერთის სიტყვით, მცხეთა იყო სამღვთო ადგილი ქართველთათვის.

პი ამიტომ ყველა ჩვენი მტრები მოეწრაფოდნენ ამ საყდრისაკენ და მის დაჭერა, დამორჩილება ჰნიშნავდა მთელის საქართველოს დამორჩილებას.

ეს არის მიზეზი, რომ ეს მრავალტოტებიანი ხე, რომლის კალთის ქვეშ შეხიზნულ იყო ყოველი მხრის ქართველი ხალხი, ეხლა ამ გვარ სამწუხარო მდგომარეობაშია. ეს არის მიზეზი, რომ ეხლა მცხეთის ოთხივე კუთხივ მდებარე, ერთ დროს ალყავებული, ადგილები (ჯვრის, ზედაძნის, შოა-მღვიმის, ახალი-ციხის და სხვ.) აოხრებულია! ეს არის აგრეთვე მიზეზი, რომ ერთ დროს დიდებული

ცხოვრების დახატვა—ჩვენ არ ვიცით. სრულად და ცხადათ პროვინციის სურათის დახატვა ადვილი არ არის. ჩვენთვის საკმაოა, ჩვენი პროვინციის გმირები ამ სურათში დაინახვენ თავის თავს და ეცდებიან მოიშორონ ის სადაგელი წყნე, რომლის წყალობითაც ჩვენი პროვინცია მოკლებულია განათლების სინთლესა და კაცობრიულ ცხოვრებას.

დამოსუმ.

„დროების“ კორამსკონდენცია.

მიზიში, 14 მარტს. ამ წლის გაზაფხულის ქარიშხლიანმა ამინდმა, ხმელმა სიციფებმა ერთობ შეგვაშინა; უშეშობის გამო, არ ვადგვირჩა ვისაც სახლის რომ მასალა გვექონდა დაუწყვეი და მრავალი ხეხილებიც იმსხვერპლა და სხვანი.

საშინელმა დანეყბულმა ქარებმა არც შემოდგომის ჭირახულს დააყარა კეთილი; ჯეჯილებს, პურისას და ქერისას მთლად ფესვები გამოუჩინა და თუ ახლა მაინც, წვიმა თოვლქყაპი არ მოუვიდა და მარტო მზიანი დარები დაადგა, თქვენი მტერი რომ, მოსაგალი მთლად გაგვიფუტდეს, ფესვებს გამოუხმობს და თვითონაც გახმებინა. ეს გარემოება მცხოვრებლებს ფრიათ აფიქრებს და აშინებთ ამის გამო სულადმა ფასი მოიმატა: თუ ამას წინათ კოდი პური ისყიდებოდა ორ მანეთათ, ახლა სამად გახდა; ამისავე სახით ქერმა, ფეტვმა და სიმინდმაც მოიმატეს წინანდელს ფასზედ. ამ გვარივე ფასის მომატება პირუტყვ-საქონლის საკვებაზედაც გარდევდა.

ვენახების პატრონებიც უიმედონი არიან ყურძნის მოსაგალზედ, ძრიელ შიშობენ ვენახების გადახმობაზედა; ბევრნი გამოცდილობით ამტკიცებენ, რომ კვლავაც ამ გვარს ქარაიანს და ხმელ სიციფიანს ამინდების დროს ვენახები ხშირად თურმე გადახმარან პირალებით.

ამავე ქარიშხალს მოჰყვა შემდგომი უბედურება. ამ თვეში გარდაიწვა 21 კომლი მცხოვრებლებთ სოფელს ზემო-მაჩხანში. ისე დაიწო, რომ, თუ

მცხეთა ქართველთა რომი, გინა ათინა, ეხლა ღარიბი სოფელია!

ისტორიის მოწმობით, დანგრეულს მცხეთას ქართველნი იმიტომ აღარ აშენებდნენ, რომ მტრებისაგან შეუნიშნავდ დარჩომილიყო იგი, როგორც ერთა უმნიშვნელო ადგილი. ამიტომ მახტანგის შეიღმა ღაჩიმ ტახტი გადიტანა მთილისში, რომ მტრის ყურადღება მიექცია ამ ადგილისათვის და აეცდინა მცხეთისაგან ის სვე, რომელიც ხედა ნინევიას და ბაბილონს, რომელნიც ადგილ იქმნენ დედა მიწის პირიღგან (ის. „აღწერა ქართლისა“—პატრიარქისგან გასუშტისა, გვ. 210).

მცხეთიდან წამოსული მალე მივედი მტკვრის ხიდამდე, რომელის ქვეშ ის-იყო ორი ტიკი გამძვრალი-

ზოგმა საწოლი ლოგინი დაწოლია; თორემ სხვა კი თრეზორისთვის სახლის ავეჯულება დაწოთ. მომატებულ ნაწილთ არ დარჩენიათ იმ ღამის საქმელი საზრდა, ფქვილის ანბრები და გამომცხვარი პურებიც კი მთლად შიგ სახლში მოჰყვა. ორის საათის განმავლობაში 21 მოკამურის სახლები გადიბუა.

ღაღონებულები დადიან და საზრდოს თხოულობენ გარეშე სოფლებში. ძრიელ შესაბრალოსნი არიან. ამათში მომატებულ ნაწილთ უსაქონლონი არიან, არა აქვსთ მახლობლად ტყე, რომელიდგან მარჯვედ მასალის გამოტანა შეეძლოდ. ამათ უნდა მოსტრან სახლების მასალა მდინარე ალაზანს გაღმა, მაგრამ, საუბედუროთ, უფულობის გამო ლესნიჩიღგან ტყის მოსატყრელს ბილეთს ვერ აიღებენ. არა აქვსთ საზრდა, რომ ცოლშვილსაც დაუტოვონ და თვითაც მუშაობის დროს იცხოვრონ.

ამ გვარივე უბედურობა დაადგათ სოფლის პარდენახის 30 მეკომურებთა, ესენიც მთლად გარდაიწვენ ცეცხლით ერთსა და ამავე დროსა.

აქაურს მაზრის უფროს თავისის თვლით განუხილავს გადამწვარი ადგილები და შენობაები მცხოვრებლებთ დაჰპირებია შემდეგს შემწვობასა 1) რომ უფასოთ ნება მისცეს სახლის მასალის მოჭრისა, 2) ხუროკაცების დახმარება უსასყიდლოთ და დამზადებული მასალის გამოტანა სოფლამდინ ბევრის ურმებით, რომლის მაგიერათ გამომატენლნი იქმნებიან ყველა სახელმწიფო ბევრიღგან მთელს წელიწადს თავისუფალნი.

რა თქმა უნდა, რომ ეს საშუალობა ბატონის მაზრის უფროსისა ვერ დააკმაფილებს დაზარალებულის მცხოვრებელების ყველა გაჭარებას. ამათთვის აუცილებელად საჭიროა პური, რომ მიახწიონ ახალს მოსაგლამდინ, ამათ უნდათ ფულითაც შემწვობა, რომლის საშუალობითაც შეეძლოთ თავიანთ სიშიშვილის დაფარვა; მათ ეჭირებათ, თუ ბევრს ხნობით არა, ორს წლამდინ მაინც ყვე-

ყო. მეტივენი იქვე აბამდნენ თავიანთ ტიფებს მარცხენა ნაპირზე და სიციფიხუმრობით მუსაიფობდნენ. მუდამ სექტო-ცხოვლობას მე მიწახავს მტკვარზე მრავალი ტიფები. ამ ტიფებზე ამ სოფლებიდან ჩამოდიან სალოცავად მცხეთაში მლოცველნი და მერე რკინის გზით ან ფეხით ბრუნდებიან შინ.

აქ დიდ ხანს არ მომიცდია. სტანცაზე გაჰკიოდა და ჰქმნიდა მატარებელი. მივედი სტანციაში და შევედი ვაგონში თუ არა, იფრინა 80 თვლიანმა და 20 ოთახიანმა მატარებელმა, რომელშიაც ქვეყანს ადამიანს ხარების მაგიერ შეუბამს ორთქლი.

მოსე ჯანაშვილი.

